დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2024 წლის 24 იანვარი

ქ. დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“, და „დ.ე“ ქვეპუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და 34^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცდეს დანართი 1-ის შესაბამისად. (დანართი 1 თან ერთვის).

მუხლი 2

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და საშტატო ნუსხა დამტკიცდეს დანართი 2-ის შესაბამისად.(დანართი 2 თან ერთვის).

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აგვისტოს №44 (www.matsne.gov.ge, 270070000.35.169.016180) და „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №23 (www.matsne.gov.ge, 20/12/2021, 010250020.35.169.016496) დადგენილებები.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნუგზარ პაპიაშვილი**
თავმჯდომარე

დანართი 1

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

№	თანამდებობა	რაოდენობა	საბაზისო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი(ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	1330	4.1	5453

2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	1330	3.1	4123
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	1330	2.7	3591
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1330	2.2	2928
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	1330	2.0	2660
6	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	9	1330	1.6	2128

დანართი 2

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და საშტატო ნუსხა

№	თანამდებობა	იერარქია	რანგი	შტატების რაოდენობა	საბაზისო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	თანამ დებობრივი სარგო
1	საკრებულოს აპარატის უფროსი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	1330	2.3	3059
2	საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1330	1.6	2128
3	საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	1330	1.1	1463
4	საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	1330	1.0	1330
5	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების	მეორადი სტრუქტურული ერთეულის	II	1	1330	1.6	2128

	განყოფილების უფროსი	ხელმძღვანელი					
6	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	1330	1.1	1463
7	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	1330	1.0	1330
სულ				9			